



№ 3/CIRC/FSI

26 / იანვარი / 2022 წ.

საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი შიდა
ნაოსნობაში ჩართული 100 რეგ. ტონაზე ნაკლები
გემისა და ზომამცირე გემების მფლობელებს,
ოპერატორებს და მენეჯერებს
აღიარებულ საკლასიფიკაციო ორგანიზაციებს

საქართველოს ყველა საზღვაო ნავსადგურს
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო
დაცვის დეპარტამენტს

შინაარსი: შიდა ნაოსნობაში ჩართული 100 საერთო ტევადობაზე ნაკლები მცურავი საშუალებების (მათ შორის ზომამცირე გემების) მონშობის ფორმების, დიზაინის, აღწერილობის და დამცავი ნიშნების, მათი გაცემის და გამოყენების წესი.

მითითება:

- საქართველოს საზღვაო კოდექსი;
- სააგენტოს ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის, 2021 წლის 5 ივლისის ბრძანება №09, „გემის სახელმწიფო რეგისტრაციისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესების დამტკიცების შესახებ“
- საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის, 2021 წლის 13 აპრილის ბრძანება №03 „შიდა ნაოსნობაში ჩართული 100 საერთო ტევადობაზე ნაკლები მცურავი საშუალებების მონშობის ფორმების, დიზაინის, აღწერილობის და დამცავი ნიშნების, მათი გაცემის და გამოყენების წესის“ დამტკიცების შესახებ.

1. მიზანი:

1.1. ცირკულარი ატყობინებს ყველა დაინტერესებულ მხარეს (გემთმფლობელისა და მმართველი კომპანიების, ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენლების, გემების ეკიპაჟის და ყველა სხვა დაინტერესებული მხარეს), რომ 2022 წლის 28 იანვრიდან ამოქმედდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 13 აპრილის № 03 ბრძანება „შიდა ნაოსნობაში ჩართული 100 საერთო ტევადობაზე ნაკლები მცურავი საშუალებების მონშობის ფორმების, დიზაინის, აღწერილობის და დამცავი ნიშნების, მათი გაცემის და გამოყენების წესი“

2. მოქმედების სფერო:

2.1 ეს ცირკულარი ვრცელდება საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულ შიდა ნაოსნობაში ჩართული 100 საერთო ტევადობაზე ნაკლები მცურავი (მათ შორის ზომამცირე გემების) საშუალებების რეგისტრაციის დროს გაცემული სარეგისტრაციო მონშობების მიმართ.

2.2 მონშობა გაიცემა გემთმფლობელზე ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელზე, გემთმფლობელის მიერ გაცემული მინდობილობისა და მინდობილი პირის დამადასტურებელი დოკუმენტის (პასპორტის ან პირადობის მონშობის) წარდგენის შემთხვევაში, ან გემთმფლობელის მიერ განცხადებაში მითითებულ პიროვნებაზე (სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან სხვა).

2.3 მონშობის მიღების ფაქტს მიმღები პირი ადასტურებს ხელმოწერით ან/და ელექტრონულად.

3. მონმობის მოქმედების ვადა და შემცვლელი მონმობის/დუბლიკატის გაცემის წესი

3.1. მონმობა გაიცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მოქმედების ვადით.

3.2 მოქმედების ვადის განმავლობაში გემის სარეგისტრაციო მონმობის დაკარგვის, დაზიანების ან/და მასზე დატანილ მონაცემებში ცვლილებების შეტანისას გაიცემა შემცვლელი მონმობა/დუბლიკატი.

3.4 შემცვლელი მონმობის/დუბლიკატის გაცემისათვის შესაბამისი გემთმფლობელი წერილობითი განცხადებით მიმართავს სააგენტოს. განცხადება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებს, მასში ასევე მითითებული უნდა იყოს შემცვლელი მონმობის გაცემის მოთხოვნის საფუძველი (დაკარგვა, დაზიანება, მონაცემების შეცვლა და სხვა).

3.5 შემცვლელი მონმობა/დუბლიკატი გაიცემა განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების სრულად წარდგენიდან კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში.

3.6 დაკარგული ან დაზიანებული მონმობა ექვემდებარება რეესტრში შესაბამის აღნიშვნას.

3.7 შემცვლელი მონმობა/დუბლიკატი გაიცემა ახალი ნომრით, ძველი მონმობის მოქმედების ვადის მითითებით.

3.8 მონმობის ბლანკის აღწერა და მასში ჩანაწერების შესრულების წესი მოცემულია ზემოაღნიშნული ბრძანების N1 დანართში, ხოლო მონმობების ნიმუში მოცემულია N2 დანართად.

4. გარდამავალი დებულებები:

4.1 ახალი დიზაინის შიდა ნაოსნობაში ჩართული 100 საერთო ტევადობაზე ნაკლები მცურავი საშუალებების (მათ შორის ზომამცირე გემების) მონმობის გაცემა დაიწყება 2022 წლის 28 იანვრიდან.

4.2 ძალაში რჩება ამ ბრძანების ამოქმედებამდე არსებული ფორმით გაცემული მონმობები მოქმედების ვადის ამონურვამდე, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4.3 მოგინოდებთ, გამოიჩინოთ ყურადღება და მიიღოთ დროული ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

5. კონსულტაცია, დამატებითი კითხვები:


5.1 საქართველოს დროშის ქვეშ გემის დარეგისტრირების თაობაზე კონსულტაციისათვის და სარეგისტრაციო მონმობის მიღებისათვის მიმართეთ სააგენტოს გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტს :

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტი
ტელ: +995 (422) 274925 (შიდა. 1112/1113)
ელ-ფოსტა: fsi@mta.gov.ge
ცხელი ხაზი : +995 (577) 221622

დანართი:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის, 2021 წლის 13 აპრილის ბრძანება №03 „შიდა ნაოსნობაში ჩართული 100 საერთო ტევადობაზე ნაკლები მცურავი საშუალებების მონმობის ფორმების, დიზაინის, აღწერილობის და დამცავი ნიშნების, მათი გაცემის და გამოყენების წესის“ დამტკიცების შესახებ.
- გემი რეგისტრაციის მონმობების ნიმუშები.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს
დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამდასმულია
ელექტრონულად 

თამარ იოსელიანი